სახალხო გაზეთი

№ 767 ხუთშაბათი, 6 დეკემბერი 1912 წ. № 767

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სიდამას 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შორმე"-ში, მუხრანის ქუჩა, დე ედირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტელ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში: მოსკოვში, მისხნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბიორჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; ვაკანსიები, მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ბრუნდება; რასაც თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესი: სარედაქციო და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, „ქართული სახალხო გაზეთი", 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

გამართულია ხელის მოწერა 1913 წლის ყოველ-დღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

ხელ. წადი მეოთხე

„სახალხო გაზეთზე"

ხელიწადი მეოთხე

1913 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა.

ყოველ დღიურ გაზეთის გარდა 1913 წელსაც გაზეთის ექნება

სურათებიანი დამატება

(ჟურნალი).

კრემიად 1913 წლის წლიური ხელის მომწერნი, ე. ი. ისეთები, რომელნიც მთელი წლის საფასურს გადაიხდიან, ან წინდაწინვე განაცხადებენ გაზეთის კანტორაში, რომ წლიური ხელის-მომწერნი არიან, 1913 წლის განმავლობაში მიიღებენ

ორ წიგნს:

1) უცხოეთის მწერლების.

ამ წიგნში შევა სხვა და სხვა ნაწარმოებნი უცხოეთის გამოჩენილ მწერლებისა, ზომით იქნება არა ნაკლებ **400 გვერდისა** და წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდებათ **იანვრის დასასრულს.**

2) ქართველი მწერლების.

ამ წიგნში შევა ქართველ მწერალთა სხვა და სხვა ნაწარმოებნი, როგორც პოეტური, ისე ბელეტრისტული ზომით იქნება არა ნაკლებ **500 გვერდისა** და წლიურ ხელის-მომწერთ **დაურიგდებათ ენკენისთვეში.**

გაზეთის ფასი როგორც ტფილისში, ისე მის გარედ ღირს წელიწადში ისევ 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით 4 მან. 50 კ., ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის ფასი	წლ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
ტფილისში და მის გარედ	8 მ. 50 კ.	8 მ. —	7 მ. 50 კ.	6 მ. 75 კ.	6 მ. —	5 მ. 25 კ.	4 მ. 50 კ.	3 მ. 75 კ.	3 მ. —	2 მ. 25 კ.	1 მ. 50 კ.	— 75 კ.
საზღვარ გარედ	11 მ. 50 კ.	10 მ. 75 კ.	10 მ. —	9 მ. —	8 მ. —	7 მ. —	6 მ. —	5 მ. —	4 მ. —	3 მ. —	2 მ. —	1 მ. —

ცალკე ნომერი ყველგან შაური; დამატებიანი ნომერი შვიდი კაპიკი.

ამ ხელისმომწერმა, რომელიც **ოქტომბრის პრემიის** მიღებას **ფოსტით** მოისურვებს, გასაგზავნ ხარჯად უნდა გამოგზავნოს ხელის-მოწერის ფასთან ერთად კიდევ **ათი შაური.** ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ქალაქიდან ქალაქ გარედ, ან ქალაქ გარეთისა ისევ ქალაქ გარეთისაზე 40 კაპ., დანარჩენ შემთხვევაში ადრესის გამოცვლა უფასოა.

ხელის-მოწერის პირობები:

1) წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი (8 მან. 50 კ.) შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით, მხოლოდ აუცილებლად შემდეგს ვადებზე: ხელის მოწერისთანავე . . . . 3 მ.,
1 აპრილამდე . . 2 მ.,
1 თიბათვემდე . . 2 მ.,
1 ენკენისთვემდე . 1 მ. 50 კ.

2) გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

ხელის მოწერა გამართულია:

1) „სახალხო გაზეთი"-ს კანტორაში (სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან), რომელიც ღია დილით 9—3 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა-უქმეებისა. 20 დეკემბრიდან კი ღია იქნება: დილის 9 ს.-დან საღ. 8 ს.-დე, კვირაობით და დღესასწაულებში დილ. 11 ს.-დან ნაშუადღევის 3 ს.

2) ქ. შორის წერა-კითხვ. გამავრცელ. საზოგ. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში: სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა ქარვასლა.

3) **ფოსტით.** Тифлисъ, Груз. газ. „Сахалхо Газети". поч. ящ. 190.

პაპიროსები „გალღია"

25 ც.—15 კ. 10 ც.—6 კ.

ამგ. „კომეტა"

ქ. ტფილისი. 1574

ხუთ დეკემბერს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდა ცვალა ხელოსანის მასწავლებელი ქართველ კათოლიკეთა სკოლისა

ელენე (აგათა) სიმონის ასული გოზალაშვილი

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, **და ფილომენია სიმონის ასული და ძმისწულნი ივანე პავლეს ძე, მარია ივანეს ასული და აგვისტინე ივანეს ძე გოზალაშვილნი.** პანაშვიდი ხუთშაბათს საღამოს 6 ნახევარ საათზე. დაკრძალვა მოხდება პარასკევს დილის ათ საათზე, სოლოლაკის რ. კ. სასაფლაოზე, გამოასვენებენ, კათოლიკების ქუჩიდან № 4. 34.

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

ძნ. შ. დავითაშვილის ბენეფისი

ხუთშაბათს, 6 დეკემბერს,

ქართ. დრამატ. საზოგად. დასის მიერ **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება **ნ. შ. დავითაშვილის** საბენეფისოდ პირველად ქართულ სცენაზედ ახალი ორგინალური პიესა **ნ. შიუკაშვილისა**

ციცინათელა დრამა 4 მოქმედებად.

ბაბოს როლს შეასრულებს— **ნ. დავითაშვილი,** ლევან მესხიშვილისას—**ვლ. ალექსი-მესხიშვილი,** ციცინათელასას—**ტ. აბაშიძე.**

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი აბაშიძე, დავითაშვილი, შოთაძე. ბ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი, აბდუშელი, გუნია, მგალობლიშვილი, ცაცანაშვილი, შალიკაშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 ათზე. ადგილ. ფასი **საბენეფისოა.**

ა ნ ო ნ ს ი: ვირას ქ. დეკემბერს, **მეორედ** წარმოდგენილი იქნება **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით **ვლ. შალიკაშვილის პიესა „გადაჭრილი მუხა".**

1623 რეჟისორი **ვლ. ალ.-მესხიშვილი** ქართული დრამატ. საზოგად. ადმინისტ.

ზუბალაშვილის სახალხო სახლი.

ხუთშაბათს, 6 ქრისტიშობისთვეს სამუსიკო საზოგადოება დასდგამს

ფაუსტი ოპერა 4 მოქმედებად და 5 სურათად, მუს. ჰუნოსი

მონაწილეობენ: ქ-ნები: მილიჩისა, ჩაიკოვსკისა, კოვალევსკისა; ბ-ნები: გოფმანი, საბინი, ორაგონინი, ლუბენსკი.

ლოტბარი **პოლიკარპე ფალიაშვილი.**

გამგეობის მორიგი წევრი **თ. დოლიძე.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთების ფასი 5 კ.—1 მ. 50 კ.-მდე.

ბილეთები იყიდება ზუბალაშვილის სახალხო სახლის კასაში. 851.

დრამატიული თეატრი ა. ნ. მეზუევსკისა

(არაქსიანისეული, ავლაბარში, კონსტანტინეს და მთავარ-ანგელოზის ქუჩ.)

პარასკევს, 7 ქრისტეშობისთვეს, რუსულ დრამის არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება ტფილისში პირველად, საყურადღებო პიესა

ალიმ-ხანი - კავკასიელი ყაჩაღი 5 მოქმედ., 8 სურათ.

ა. ი. კოზლოვისა.

მოქმ. 1. ამაღი მზეთ უნახავი ალიმას დატუსაღებ. მოქ. 2. ორი ალიმი, ყულაქსის ალია მა. მოქ. 3. ქერის კლ.ნჯებში. ალიმა ნათესაებ.ი. მოქ. 4. მოვიდა ომეტყვა დახვდა ქვაალიმა დაიჭერება. მოქ. 5. ალიმას გამოკითხვა. ციხიდან გაქცევა. მეორე სურათი რისხვა ღვთისა. სამართლის წინაშე. მეხუთე მოქმედებაში შეასრულებენ თათრულ ეროვნულ ცეკვას „ხაიშურმა", საგანგებოდ მოწვეული საბანდარი ეროვნული ტანისამოსი. მონაწილეობს მთელი დასი. ბილეთების ფასები 20 კ.—80 კ.-მდე დასაწყისი სწორეთ საღამოს 8 საათზე. ბილეთები იყიდება ყოველ დღე, საღამოს 5—8 საათამდე. 852.

კ. ი. ზუბალაშვილის სახ. ქალაქის სახალხო სახლი.

კვირას, 9 ქრისტიშობისთვეს, ნაშუადღევის 1 საათზე, ქალთა მესამე გიმნაზიის მასწავლებელი ნ. კ. ჰაუსმანი წაიკითხავს ლექციას ბუნდოვან სურათებით:

მიწის ძვრა

პროგრამა: შესავალი. დედამიწის ისტორია დედამიწის ქერქის წარმოშობა, მისი მოყვანილობა; დედამიწის ზედაპირის გულის ცვლილებანი, მიწის ძვრა და მისი ხასიათი. მიწის ძვრის გეოგრაფიული მდებარეობა. მიწის ძვრა ხეთქებით და ჭანობით. მიწის ძვრის ძალა. მიწის ძვრის შედარება ბუნების სხვა მოვლენასთან მიწისძვრის მიზეზები. მიწისძვრის გამოკვლევი მეტოდები. სეისმიური სადგურები. სეისმოგრაფი. მიწისძვრის წინდაწინვე გაგება.

დასაწყისი ნაშუადღევის 1 საათზე.

ფასები 5 კ.—50 კაპეიკამდე ბილეთები იყიდება ყოველ დღე ზუბალაშვილის სახალხო სახლის კასაში. 850

ბაზრძელდება დაკვეთა 1913 პირველ იანვრამდე:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,

(აგრედვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, ვისაც დაბაკვეთ ფულის ნაწილი უკვე შეუტანია აქვს დანარჩენი ფული უსათუოდ 1913 წ. პირველ იანვრამდე უნდა გადაიხადოს. წინააღმდეგ შემთხვევაში დაჰკარგავს უფლებას წიგნის მიღებისას და შემოტანილ ფულისას.

გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნებ დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან;** და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.

ჭუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.
ფოთში—იონა მეუნარგიასთან. თელავში—თამარ აბაშიძესთან.
სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან. ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.
სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან. ბაქოში—ილიას ბგლაძესთან.
ხობუმში—ნიკო თავდგირიძესთან. ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავ-ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან. თან.
ერევანში—ელენე ვირსალაძესთან

ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან. გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზავნის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. 1153

„ახალი კლუბის" **მამასახლისთა საბჭო**

აცხადებს კლუბის წევრთა და მუდმივ სტუმართა საყურადღებოდ, რომ

1913 წ. საწევრო ბილეთების განახლების ვადა

განისაზღვრება 20 ქრისტეშობისთვემდე 1912 წ.

ბილეთები მიეცემა „ახალი კლუბის" კანტორიდას ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღ. 2 ს.-დე და საღ. 9 ს.-დან შუაღამის 12 ს.-დე. 1661

16 დეკემბერს ამა მიმდინარე წლისა დანიშნულია

საგანგებო პრეგა

ხონის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოებისა

ხონის სავაჭრო პროგიმნაზიაში 11 საათზე დილით, დამატებითი კრედიტის გადასადებად საკუთარი შენობის ასაშენებლად. 1166.

ტფილისის ქალაქის გამგეობა

იწვევს იმ პირთ, ვისაცა ჰსურს ქალაქის დაწესებულებათათვის ქვემოდ აღნიშნული ნივთები აძლიოს და საამისო შეცილებაში მონაწილეობა მიიღოს:

ა.

1)	ბენზინი 1 ს. 250 ფ., 2 ს. 200 ფ.,	450 ფუთი
2)	მადნეულის ზეთი . .	825 „
3)	მადნეულის ქონი . .	140 „
4)	მანქანების ცილინდერის ზეთი	450 „

შეცილებაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა 100 მან. ბე.

ბ.

5)	ქვა-ნახშირი (ანტრაციტი)	8000 „
6)	ადგილობრივი ქვა-ნახშირი	2000 „
7)	კოკსი	200 „
8)	მტკვრის ქვა-ნახშირი .	200 „
9)	ნახშირი	2500 „

საჭიროა 100 მან. ბე.

ამ შეცილებაში მონაწილეობის მსურველნი ვალდებულნი არიან, გამგეობის კანაში ბე წარადგინონ და აგრედვე განაცხადონ თავისი ფასები დახურულ კონვერტით ქალაქის გამგეობის პირველ განყოფილებაში 1912 წ. 15 სექტემბერს, ნაშუადღევის 3 საათამდე.

ქალაქის განცხადება

ყოველ-გვარ ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის გამგეობის ნივთიერ განყოფილებაში ყოველ დღე, დილის 1—3 საათამდე. 1624

გამოსულია და იყიდება

არჩილ ჭორჭაძის თხზულებანი

I ტ. „ეროვნულ პრობლემის გარშემო" ფასი „ „ „ 75 კ.
II „ „ჩვენი საზოგადოებრივობა „ „ „ „ „ 80 „
III „ „ნააზრევი" „ „ „ „ „ 65 „
IV „ წერილები „ცნობის ფურც."-„მოამბ." 1901—1902 წ. „ 85 კ.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა

წინამძღვრის

თანამდებობის აღმასრულებელი

სთხოვს გუბერნიის თავად-აზნაურთ

მოგახსენებთ ამა წლის 23 დეკემბერს, დილის 11 საათზე, ქართულ თეატრის დარბაზში,

საგანგებო საგუბერნიო

კრებაზე,

რათა აირჩიონ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, დუშეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი და გორის მაზრის თავად-აზნაურთა დეპუტატი. 1606

ძარხნის მარკა

კონიაკი და ლიკორი

ს. ს. შაგრიარსკისა

ტფილისი ელისაბედის ქუჩა № 166. 1570

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

ისყიდება საყმაწვილო წიგნები.

ამოდის ნათდება. ვაჟასი . . 15 კ.
ბუს თავ-გადასავალი, სურათებით . . . . . 30 „
კეთილი ძაღლი . . . . . 20 „
ლაზარილიო . . . . . 10 „
ლომ-კაცი გ. წერეთლისა . 25 „
შეფე ლამზა . . . . . 7 „
მურია. თ. რაზიკაშვილი . . 5 „
მტრედი. შმიდტისა . . . . 10 „
ნახატებიანი საყმაწვილო მოთხრობანი . . . . . 30 „
პაწია და ბუნგლია . . . . 25 „
პატარა ჩონგური . . . . . 5 „
რობინზონ კრუზო . . . . 30 „
სამი საყმაწვილო ამბავი ვაჟასი 15 „
სამი ცელქი შ. მღვიმელისა . 15 „
ძუნწი და ნატვრა, მისივე . 10 „
ხუმარა სპილოები დასურათებული . . . . . 20 „
სამშობლოს ბუნების სარკე ყდით . . . . . 40 „
სამი მოთხრობა ს. ყიფიანისა 5 „
სვიის გვირგვინი შმიდტისა . 15 „
ღვთის წყალობა გ. წერეთლისა . . . . . 20 „
უცნაური თაიგული (8 არაკი) 10 „
ორი მხატვარი, მოთხრობა ნაკადულის გამოცემა . . . 15 „

ადრესი ტელეგრამისათვის: Тифлисъ Грамотность. 1141.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ძველნიქვის ბუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტეხელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მკურნალი ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე შუამავლის; ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი. დავითიანი რ. ხ. (ყოველ დღე) 1—2.
მანსვეტაშვილი ვ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
მაღალაშვილი გ. გ. (სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ორშაბ. და კვირისა) 12—1.

ქირურგიული სნეულებანი. მარკევიჩი ვ. ლ. კონსულტატი (ყოველ-დღე 11½—12½.)
მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
ფირამდოვი რ. ხ. (ყოველ დღე) 12—1.
ე. ა ენგელ-მელიქ-შაბნაზაროვისა (სამშ. ხუთშაბ. შაბათ.) 11½ 12½.

ქალთა და ბავშვთა სნეულებანი. ექიმი-ქალი ვერბიცკი-ფირადოვისა ლ. (ყოველ დღე) 11—12.
ოცქანაძე ე. ე. (ყოველ დღე) 1—2.
მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
სულაკაური ა. ი. (ყოველ დღე) 12—1.

ბავშვთა სნეულებანი. ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა (ყოველ დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს.
მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

ნერვ. სნეულ. და ელექტრ. გედევანიშვილი მ. ა. (შაბათობით) 10½—11.
დავითიანი რ. ხ. (ყოველ დღე) 1—2.
ფონდორევი, გ. ხ. (ყოველ-დღე) 1—2 ს.

ყელ. ყურ. და ცხვ. ათენიანცი ნ. ა. (ყოველ დღე) 12½—1½
ორემბოვსკი ნ. ხ. (ყოველ დღე) 1½—2.

შინაგან სნეულ. და ბავშვთა სნეულ. მუსხელიშვილი ვ. ხ. (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.

ქალთა სნეულ. დიასამიძე ა. ნ. (ყოველ დღე) 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და სააბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის განსინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., სანწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კოსულტაციები, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606" „914" და წვანლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილისა ცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. წ. 1010.

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი

წამლობა ჯილაქისა,

ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა

ტუბერკულენ

შინაგან სნეულებით ავადმყ. წამლობა კიდევ რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით. იღებს ყოვ.-დღ. ახალ ბინაზე დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: სოლოლაკი, ბებუთოვის ქ., № 23 (გამოვისქ. კუთხ.). ტელეფ. 7—92. 847

ნაფიც-ვექილ. თანაშ.

გიორგი კავლეს ძე

გოგდიაზიანი

გადავიდა ჩერქეზიშვილის ქუჩაზე (ავჭალის ქუჩა), № 57. 829

ექიმი ს. ი. გაძელიშვილი იღებს ავადმყოფებს შინაგანულ და ვენერიულ ავადმყოფებს, დილით 9—12 ს. და საღამოს 6—8 ს. დიდუბე, საგურამოს ქუჩ. № 21, სახლი ხრამელაშვილისა. 1411

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6.

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა. ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ., ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღე. ქ.—5½ ს. ელისაბედ. ქ., № 94. სახლოსტო განყოფი. პირდა პირ. 1530

ექიმი ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 4—5 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ექიმი ი. კ. აბაკელია იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4½—6½ საათ. ელისაბედის ქ. № 7, ეორონცოვის ძეგლის პირდაპირ. 789

ექიმი ქალი დ. გ. საყვარელიძე. იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბგებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5 6 საათამდე.

კიროჩნის ქუჩა, № 9. 595.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა. № 2. ს. აბაშიძისა

სახელმწიფო საბჭო

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო.)

4 დეკემბრის სხდომა.

აკიმოვი თავმჯდომარეობს.

საბჭო შეუდგა სათათბიროდან შემოსულ 7 კანონ-პროექტის განხილვას. მოისმინა პირადი შემადგენლობის კომისიის მოხსენება სახელმწიფო საბჭოს წევრის გენერალ-მაიორის კლუნიკოვის არჩევის თაობაზე.

მომხსენებელი შემანი. არჩევნების დროს კლუნიკოვს ეჭირა პოლიციურ თანამდებობის ადგილი და ამიტომ მისი შეტანა საარჩევნო სიაში არ შეიძლებოდა. წინადადება შეაქვს არჩევნები დაირღვეს, რადგანაც კანონი პირდაპირ დარღვეულია.

გრიმი. კლუნიკოვის არჩევის დროს მრავალი უკანონობა მოხდაო. არც კლუნიკოვი, არც მთავრობა არ ფიქრობდნენ იმას, რომ ოლქის უფროსობა პოლიციური თანამდებობაა. ამის ეშვი კლუნიკოვის არჩევის შემდეგ დაებადათ მხოლოდ და შესაფერი მოწმობაც მისცეს. გრიმი არჩევნების გაუქმების მომხრეა.

ბირილევი. უყაზახთა ჯარი საგანგებო დებულებას ექვემდებარებაო. არ შეიძლება ერთმანეთს დაეთანაბროს ოლქის უფროსის თანამდებობა და ისპრავნიკისა: უკანასკნელს გუბერნატორი ჰნიშნავს, ოლქის უფროსი კი უმაღლესი ბრძანებით ინიშნებაო. თუ საარჩევნო უფლებას უსპობთ ოლქის უფროსს იმიტომ რომ პოლიციური თანამდებობას ასრულებს. მაშინ შინაური საქმეთა მინისტრსაც სწორედ ამ მოსაზრებითვე უნდა წაერთვათ საარჩევნო უფლებაო.

შემანი. ოლქის უფროსს ჰნიშნავს უაზახთა ატამანი. პოლიციელს აკრძალული აქვთ არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ, იმიტომ რომ არჩევნების თავისუფლება არ შეიზღუდოსო.

დურნოვო. კლუნიკოვი საარჩევნო სიაში 3 წლის წინად იყო შეტანილი მაშინ არავინ ეწინააღმდეგებოდა. თუ არჩეული დანიშნეკი რაიმე მიზეზის გამო გასულიყო, მის ალაგას კლუნიკოვი დაინერდა, რადგანაც მას შემდეგ ყველაზე მეტი ხმა კლუნიკოვმა მიიღო, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ საარჩევნო სიების განხილვა საბჭოს ფუნქციას არ შეადგენს, და კლუნიკოვი არჩევის დღეს უფროსის თანამდებობას არ ასრულებდა არჩევნები უნდა დავმტკიცოთო.

შემანი. თანამდებობიდან გადადგომა სიაში შეტანამდე უნდა მომხდარიყოს. ოფიციალი ბრძანებით სჩანს, რომ კლუნიკოვის სამსახურიდან გადადგომა არჩევის მეოთხე დღეს მოხდა.

ოლსუფიევი. პოლიციელებს აგრძალული აქვთ არჩევნებში მონაწილეობის მიღება; ეს იქიდგან კი არ გამომდინარეობს, რომ პოლიციელნი არ არიან საპატიო დაწესებულებების მომხრენი. პოლიცია სახელმწიფოს საპატიო ორგანოა. საკანონმდებლო დაწესებულებებზე უფრო უსაპიროესი პოლიციელებს აგრძალული აქვთ არჩევნებში მონაწილეობა არჩევნების თავისუფლების პრინციპის დასაცავად. რა იქნებოდა მაგალითად გუბერნატორი რომ იღებდეს მონაწილეობას და აგიტაციას თავის და სასარგებლოდ ეწეოდეს. საჭიროა არსევნების თავისუფლება. ფაქტიურად უნდა უზრუნველ ყოფილ იქმნას არჩევნები.

ზუბჩატენკოვი. ოლქის უფროსობა საჭოლიციო თანამდებობა არ არის. სენატის განმარტებით დონის ოლქის სამხედრო პირებს ნება ეძლევათ არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა. კენჭის ყრით 80 ხმით 69 წინააღმდეგ კლუნიკოვის არჩევნები დაამტკიცეს.

სხდომა შეწყვიტეს.

სხდომის განხლებისას სტი შინსკი და ზინოვიევმა მეორემ წინადადება შეიტანეს, გადასცეს საკანონმდებლო მოსაზრებათა კომისიას კანონ-პროექტი თანხის გადიდებისა ბესარაბიის გუბერნ. იზმაილოვის მაზრ. საერობო საჭიროების დასაკმაყოფილებლად. განიხილეს პოლონეთის ქალაქთა მართვა გამგეობის შეცვლის კანონ-პროექტი.

მომხსენებელმა ჰერბელმა განიხილა ძირითადი დებულება კანონ-პროექტისა, შინაურ საქმეთა სამინისტროსა რედაქცია და სათათბიროს შესწორებანი. რადგანაც საკითხი ფრიად რთულია, შესწორებანიც აუარებელია. საჭიროა გადაეცეს ცალკე კომისიას, რათა სხვა და სხვა შესწორებაში გაერჩიოს.

ზინოვიევი მეორე ჰერბელის მომხრეა.

შებეკო. თავის და პოლონეთის წარმომადგენელის სახელით წინააღმდეგობას აცხადებს კანონ-პროექტის კომისიაში გადაცემის გამო თუმცა ეს კანონ-პროექტი ფრიად ნაკლებად აკმაყოფილებს პოლონეთის მოთხოვნილებას, მაგრამ მაინც ძლიერ საჭიროა და შეადგენს ერთერთ მწვავე საკითხს. შებეკო მოხრეა კანონ-პროექტი საჩქაროდ განიხილონ. საკითხს კენჭი უყარეს. 76 ხმით წინააღმდეგ 58-სა, დაადგინეს კანონ-პროექტი კომისიას გადაეცეს.

შემდეგი სხდომა 7 დეკემბერს იქნება.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **მემამულეთა საჩივარი ბოქაულებზე.** ტფ. გუბერნატორს ა. გ. ჩერნიავსკის მემამულეთაგან მრავალი საჩივარი მიუვდა, ბოქაულები სახელმწიფო ხარჯების აკრეფის დროს უკანონოდ იქცევიანო. გუბერნატორმა ბოქაულებს საგანგებო ბრძანება დაუგზავნა, რომლითაც ავალებს, ხარჯების აკრების დროს არავითარ უკანონო საშუალებას ადარ მიჰმართონ.

◆ **ფუნიკულერი** 3 დეკემბრიდან ადარ მუშაობს.

◆ **იორდანე.** ქალაქის გამგეობამ შეუძლებლად სცნო, ნება დართოს სომეხ სამღვდელოებას, მუხრანის ხიდთან, მტკვარზე, იორდანე გამართოს, რადგანაც ეს ადგილი მეტად უხერხულია. გამგეობამ დაადგინა, წინადადება მისცეს სომხის სამღვდელოებას, იორდანე ვანქის ტაძრის გალავანში გააკეთოს.

◆ **გარდაცვალა** სომეხთა ცნობილი ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე ვეტის ნიკიტას ძე არასხანიანი.

◆ დღეს, დილის 10 საათზე, მოღვინის ეკლესიაში სომეხთა კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოების ყოველწლობით გადახდილ იქნება პანაშვიდი განსვენებულ მოღვაწის ვეტის არასხანიანის სულის მოსახსენებლად.

◆ **უკვალოდ დაიკარგნენ** ჯარის კაცნი დავით ჭ სპირიდონ ბერიშვილები,

◆ **საცდელი სროლა.** 7, 12 და 19 ექემბერს გრენადერთა მე-16 პოლკს სოფელ ორხევთან საცდელი სროლა ექნება.

◆ **გადასახადი ავტომობილებზე.** გუმბრის ქალაქის გამგეობამ ტფილისისას სთხოვა გაუგზავნოს ერთი ცალი საბირჟო ავტომობილებზე გადასახადის გაწერის წესები.

◆ **არქიმანდრიტი ნაზარი,** მონასტრების ბლაღოჩინი, როგორც ხმები დადის, ალავერდის ეპისკოპოსად ინიშნება.

◆ **თავის მოკვლის განზრახვით** 4 დეკემბერს თავის სახლში (1 თუმანოვის ქ. 9) საწამლავი დალია ალექსანდრა ილიას ასულმა მაშაცაშვილმა, რომელიც სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

◆ 4 დეკემბერს ტფილისში 79 უპასპორტო შეიპყრეს.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება, რომელიც ვწერდით, ხვალ, 7 დეკემბერს მოხდება პირველად საბჭო მოისმენს ქალაქის მოურავის მოხსენებას გამგეობის წევრად ნამყოფ ნ. ბ. ქოქჩაევ-ს გარდაცვალების შესახებ და შემდეგ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას შეუდგება.

◆ **ქალაქის ლომბარდისა და საოუციონერო დარბაზის** მოქმედების გაერთიანების პროექტის შემდგენელ კომისიის პირველი კრება დღეს, 6 დეკემბერს მოხდება.

◆ **ქალაქის სამხედრო საკრებულოს** კრება დღევანდელ უქმის გამო 13 დეკემბერისთვის გადაიდო.

გორი.

◆ 20 ნოემბერს ქალაქის სამმართველოს დარბაზში დ. ერისთავის მეთაურობით მოხდა გორის მაზრის წვრილ მემამულეთა კერძო კრება, რომელსაც დაესწრო ქართლის აგ. რონომი პატ. ე. კარბელაშვილი. კრებამ გადასწყვიტა—დაარსოს გორში სამეურნეო ამხანაგობა, რომელიც ხელს შეუწყობს სამეურნეო იარაღების, რიგიან ჯიშის ვაზისა და ხეხილის გავრცელებას ჩვენში, ძერძერობის ფეხის მოკიდება და სხვ. კრებამ რამდენიმე კაცისაგან ამოირჩია კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშავოს წესდება და ახლო მომავალში დაფუძნებული კრებაც მოიწვიოს.

◆ ადგილობრივ საკრებულო ტაძრის მღვდლის, აწ განსვენებულ **სვ. ლაბაურის ადგილის მთხოვნელი** ბევრი აღმოჩნდა. როგორც დანამღვილებით გავიგეთ მღვდლად მასწავლებელს ანტონ კასრაძესა ჰნიშნავენ.

◆ 2 და 3 დეკემბერს გორში **თოვლი მოვიდა.**

◆ საშინელი ხმები მოდის სოფლებიდან: თურმე სხვა და სხვა გადამდები სენი მძვინვარებს, ნამეტნავად ყალათმან გაველო მუსრი ხალხს, პატრონი კი არსაიდან სჩანს.

◆ შაბათს, პირველ დეკემბერს, ადგილობრივ **ციხის სასარგებლოდ** გაიმართა რუსული წარმოდგენა სიმღერები!! ... ... შემთავალი მოწყობილობა

ჟამი-ჟამობა

კავკაზი

◆ თერგის ოლქის სახალხო სკოლების დირექტორმა იმავე სკოლების მე-2 რაიონის ინსპექტორის თანხლებით, მიმდინარე წლის სექტემბრიდან ეს მეორედ მოახდინა რევიზია კავკაზის ქართულ სკოლაში, რასაც შედეგათ მოჰყვა დირექტორის წერილობითი განკარგულება, რომ ყველა გ ნყოფილებაში სწავლება სწარმოებდეს 1881 წლის სამოსწავლო გეგმის და 1907 წლის წესების თანახმად, როგორც სჩანს ბ-ნი დირექტორი არ დაკმაყოფილებულა მთავარ გამგეობისაგან მის ქალალდზე მიცემულ პასუხით.

◆ ქ. შ. წ. კ. გ. ს. ადგილობრივ განყოფილების გამგეობამ ვსჯელობა იქონია დირექტორის განკარგულების გამო და დაადგინა, ხელმეორედ ეცნობოს მთავარ გამგეობას (ტფილისში) საქმის ვითარება შესაფერ ზომების მისაღებად.

◆ სალიტერატურო საღამო, რომელიც ქართულ სკოლის დარბაზში 21 ნოემბერს უნდა გამართულიყო სახალხო სკოლების დირექტორის განკარგულებით სხვა დროისათვის გადაიდგა. განზრახულია 2 დეკემბერს.

პასუხად ე. პ. გეგეჭკორს.

(ეს წერილი გადმოგვეცემია გაზეთ „დენის" მე-5ბ ნომრიდან).

მოწყალეო ხელ. ბ. რედაქტორო!

ნება მიბოძეთ ერთხელ კიდევ მოგმართოთ თხოვნით, დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთში ადგილი ჩემ პასუხს გეგეჭკორის მიმართ.

ანდაზა ამბობს: იმ ადამიანზე სა ბრალო და უმიდო არავინ არის, ვინც თვალებს ძალად იბრმავე ბსო. სწორედ ამ გარემოებაშია ბ. გეგეჭკორი. გეგეჭკორმა თავის საპასუხო წერილით ჩვენი კამათი სულ სხვა ნიადაგზე გადაიტანა, ვიდრე წინად გამოჩენილი ინტერვიუში იდგა იგი.

ინტერვიუში ბ. გეგეჭკორი ამტკიცებდა: საცა სოციალ-დემოკრატები გავიდნენ ამომრჩევლად, არჩევნების განსაჩივრება სოც.-ფედ. შეჰქონდათო. მე კი გადაჭრით უარვყავი ეს და ვამტკიცებდი და ვამტკიცებ კიდეც—საჩივრები ერთნაირად მიდიოდა საგუბერნიო კომისიაში, როგორც იქ, საცა სოციალ-დემოკრ. გადიოდნენ ამომრჩევლად. აგრედვე იქ, საცა სოც.-ფედ. გადიოდნენ. თუ პირველ შემთხვევაში სოც.-დემოკ. სოც. ფედ. უსაყვედურებენ საჩივრების შეტანაში. მეორე შემთხვევაში სოც.-ფედ. იმდენივე უფლება აქვთ სოც. დემ. უსაყვედურონ იმავე საქციელში ბ-ნი გეგეჭკორი ამბობს: „მე ვამტკიცებდი, რომ არჩევნები სწორედ იქ ინიშნებოდა ხელმეორედ საცა სოციალ-დემოკრატები გადიოდნენო, მაგალითად, ქუთაისის, ზუგდიდისა სენაკის მაზრა, ქალაქი ქუთაისი და ფოთიო". ამის შემდეგ გეგეჭკორი მეკითხება უარს ჰყოფთ არა ამ ჩვენებასო. არ ვიცი, რათა ჰგონია ბ. გეგეჭკორს, რომ მე უარს ვყოფ იმას, რის უარ-ყოფაც სრულიად მეტია. არა ბ. გეგეჭკორო, თქვენ მიერ მოყვანილ ფაქტებს უარს არ ვყოფ, მხოლოდ მე ცოტა შევასწორებ და ჩემსასაც დაუმატებ. ხელდობრ: თქვენ ირწმუნებით, რომ არჩევნები მხოლოდ იქ და მაშინ, ირღვეოდა ხოლმე, საცა ამომრჩევლად სოც.-დემოკრატები გადიოდნენო; მე კი ვამტკიცებ, არჩევნები იქაც ირღვეოდა, საცა სოციალ-ფედერალისტები გადიოდნენ. მაგალითად, ისევ ის მაზრები—ქუთაისისა და სენაკისა და მიკუმატებთ კიდევ ლეჩხუმისას. ვერ გაგვიგია, რათ მოგდომიათ, ადმინისტრაციის თვითნებობა მოსპოლიად აგველოთ მხოლოდ თქვენ და თქვენი პარტიის სასარგებლოდ. ეს ხომ სინამდვილეს სასტიკად ეწინააღმდეგება. განა ადმინისტრაციის თვითნებობა ყველას ვერ გაგვწვდება, ბატ. გეგეჭკორო!

შემდეგ გეგეჭკორი გადაჭრით ამტკიცებს, რომ ქუთაისში კადეტები არ არიანო და ამის მოწმედ მოჰყავს პატივცემული დეპუტატი ა. ი. შინგარევი. ვაშოშმ. ვაი თუ შინგარევმა და ყველამ, ვინც ქუთაისის და ქუთაისის გუბერ. ცხოვრებით არის დაინტერესებული. ურჩიოს გეგეჭკორს ნუ ამტკიცებს გადაჭრით იმას, რაც სინამდვილეს სრულიად არ შეეფერება. შეუძლიან, ბ. გეგეჭკორს უთხრან, რომ ქუთაისში, არსებობს კადეტთა პარტია

თუმცა მრავალ რიცხოვანი არა, რომ ამ პარტიას აქვს თავისი ბიურო, საცა შედიან კარგად ცნობილი პირნი, რომ ბატონი ჯ—ძე, ვისაც გეგეჭკორი სთვლის მომხრედ (ესეც წყალობაა, რომ სოციალისტ-ფედერ. პარტიის წარმომადგენლად არ მონათლა იგი) ამ პარტიის წევრად ითვლება, და თუ დასახელებული პარტია თავის სახელით არ გამოვიდა არჩევნებში და პროგრესისტების სახელით ჰმოქმედებდა, როგორც რუსეთის სხვა ალაგებშიც, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ შეერთებინა უპარტიო ლიბერალნი და უფრო ძლიერი გამხდარაყო. მე მგონია, კანდიდატი და ლიდერი პროგრესისტებისა თავ. ვ. ს. მიქელაძე, ვიზედაც გვითითებს გეგეჭკორი, სხვას ვერაფერს გვეტყვის.

ბატ. გეგეჭკორი აცხადებს, რომ ჩემ წერილში არავითარი საბუთი ყოფილა, რასაც კი შეეძლო დაემტკიცებინა ჩემ წერილში ნათქვამის სიმართლე. გეგეჭკორი ამბობს, ამისთანა საბუთებს ამაოდ ეძებდა ჩემ წერილშიო. ალბად გეგეჭკორს უყურადღებოდ წაუკითხავს ჩემი წერილი, თორემ ის იქ ჰნახავდა ჩემ განცხადებას, რომ ყოველგვარი საბუთი გადავეცი ჩემ ჯგუფს, იმ პირთა გადასაცემად, რომელთაც შეუძლიან განიხილოს მოხსენები ინციდენტი. განა ტყუილი შრომა არ არის ეძებო ის, რაშიაც წინათვე ხარ დარწმუნებული ვერ იპოვნი! ხომ თქვენ თითონ ამბობთ ბ. გეგეჭკორო, ყოველად შეუძლებლად მიმაჩნია გაზეთის ფურცლებზე მოვაყვანო ფაქტებიო“ და სხვა. სწორედ მეც ეგრედვე შეუძლებლად მიმაჩნია მოვაყვანო გაზეთში ჩემი სიტყვის დამამტკიცებელი საბუთები. ეს საბუთები საგაზეთო წერილში სულ დაეტევა!

ბ. გეგეჭკორი გვპირდება; სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან თუ სხვა გზით, ისინი ეცდებიან გამოაქვეყნონ ის უხეში ძალადობა, რაც ქუთაისის გუბერნიის საარჩევნო კომპანიას ახასიათებსო. სალამი თქვენ სურვილს ბ-ნო გეგეჭკორო! მერწმუნეთ, ამ საკითხში თქვენი მხურვალე მოკავშირე ვიქნები. ჭეცა ვთვლი საჭიროდ, სათაბიროს ტრიბუნიდან გამოვამჟღავნო ფაქტების ის მდგომარეობა, თუ რამ ამ ძალა გლეხი ამომრჩეველნი ჩემ წინააღმდეგ წასულიყვნენო. პროტესტი გამოეცხადებინათ გლეხ ფრ., რომელმაც მომცა თეთრი კენჭიო. მაგრამ, წინა წერილში ვამბობდი: არის ხოლმე ისეთი მდგომარეობა, როცა ყოველი ჭეშმარიტი დემოკრატი მოვალეა დემოკრატიის ინტერესები დააყენოს მაღლა პირად ინტერესებზე. ამისთვის, მზადა ვარ გადავცე ეს ამბები მიუდგომელ კომისიას, რომელსაც ამ სამწუხარო ინციდენტს განიხილავს და რაგვარი სუსხიანი ფრაზებიც უნდა არ ისროლოს ბატ. გეგეჭკორმა, ჩემ გადაწყვეტილებას ვერ შევცვლი.

ვატყვი აგრეთვე, რომ ჩემ ჯგუფის წევრებს და სოც.-დემოკრ. ფრაქციის წევრებს გამოუცხადე ჩემი სურვილი, რაც შეიძლება მალე გამოძახონ ინციდენტი.

ხელთა მაქვს წერილი გეგეჭკორის ერთ-ერთ მეგობრისა; ეს წერილი მიწერილია ზემოდ დასახელებულ გლეხ ამომრჩეველთან ფ. ავტორი წერილისა არწმუნებს ფ. მისცეს ხმა სოც.-დემოკრ. და ურჩევს „სიტყვით ასიამოვნოს სოც.-ფედ. და საქმით რაც შეიძლება ავნოს მათო“. გვიბძანეთ ბატ. გეგეჭკორო, რა არის ეს იდეური ბრძოლა ორ პოლიტიკურ პარტიათა შორის თუ არა აღდგენა ეგნატე ლოთოლის მცნებისა და ამ მცნების ჩაწერვა ხალხში? დასასრულ არ შემიძლიან გულწრფელად არ ვაღვიარო, რომ სრულებით არ ვიცი, ვინ იყო ის, ვინც ჩემს კანდიდატურას არ თანაუგრძნობდა და იძულებული იყო ჩემთვის მოეცა ხმა. არ ვიცი, რადგანაც პარტიამ, რომელმაც დაასახელა პირველ კანდიდატად აბაშიძე, შეორე კანდიდატად მე დამასახელა. როცა აბაშიძეს შეუკრეს ამომრჩევლად გასვლის გზა, რაც მოხსენებული მქონდა წინა წერილში. ბუნებრივ კანდიდატად დავრჩი მე. არ შემიძლიან სიამოვნება არ გამოვთქვა გეგეჭკორის განცხადების გამო, რომ პირადი ანგარიში არ ალაპარაკებს მას, რადგანაც თავის მოქიშპედ არა მთვლის. თუ გეგეჭკორი მოქიშპედ ჩამთვლიდა საქმე ცუდად დატრიალდებოდა. ხომ არ შეიკავებს თავი გეგეჭკორმა და მისმა თანამოაზრეებმა და სიბინძურე გადაასხეს აბაშიძის პიროვნებას, გეგეჭკორის მოქიშპეს, ამ ყოველმხრივ უმწიკვლო ადამიანს და საზოგადო მოღვაწეს, განა ქუთათური სოციალ-დემოკრატები თავიანთ გაზეთში არ ჩაეჭიდნენ იმას, რომ აბაშიძე ჰიათურის ბანკის დირექტორი იყო, ზაფხულში ავადმყოფობის გამო საზღვარ-გარედ წავიდაო. დედ, იცოდეს ხალხმა სწერდნენ ისინი, თუ როგორ კანდიდატებს ასახელებს სოც.-ფედ. პარტია სათათბიროში გასაგზავნადო. ამ პარტიამ წამოაყენა ისეთ ადამიანის კანდიდატურა, (აბაშიძე) ვინც ჰიათურის ბანკი ათი ათას მანეთობით გაქურდა და საზღვარ-გარედ გაიქცაო და სხვა და სხ.

ბატონო გეგეჭკორო, ეს არის განა, პატიოსნური, იდეური ბრძოლა მოწინააღმდეგესთან?

ხმა პეტერბურგიდან.

გეგეჭკორის ხრიკები; გელოვანის პასუხი; შრომის ჯგუფის პრეზიდიუმი.

დამარცხებულის არ სცემენო, ამბობს ანდაზა, მაგრამ როცა დამარცხებული ივიწყებს ყველაფერს, ყოველგვარ ზრდილობას, მაშინ კი შეუძლებელია გაჩუმება. პატივსაცემია და დასაძრახისი არაა, როცა იგი თავის უფლებას იცავს, მაგრამ თუ ისეთი გზით, როგორიც აირჩია მესამე სათათბიროს დეპუტატად ნამყოფმა ბ. გეგეჭკორმა, მაშინ სრულიად შეიცვლება ურთიერთშორის დამოკიდებულება.

ქართველ მკითხველისათვის, უკვე, არ იქნება ახალი ამბავი ე. პ. გეგეჭკორის „საქმენი საგმირონი“ პეტერბურგის „დენ“-ის ფურცლებზე. კუზიანს მხოლოდ საფლავი გაასწორებსო, ამბობს ანდაზა, მაგრამ ძალიან საეჭვოა ჩვენი ეჭვების გასწორება. ბ. გეგეჭკორმა საჭიროდ დაინახა, ის ორინები, რომელიც ქ. ს.-დ—ბს უხმარიათ საქართველოში, რუსეთშიც გამოეჩინა და ესახელნა თავი. მან აქ განაგრძო ახლა საქართველოში ს.-დის მონოპოლიად გამხდარი ლანძღვა-გინება, ინსინუაციები, ჰორები. შეიძლება ყველაფერს ამას მნიშვნელობა ჰქონოდა, მაშინ, როცა გეგეჭკორი დაინტერესებული პირი არ იყოს. წლევანდელმა არჩევნებმა დიდი ზიანი მიაყენა მას და ჯერაც ვერ მოუნელებია. საეჭვოა მოინელებს კი როდისმე. ეს ერთი ხანია, ერთი მეორეზე ათავსებს გაზეთ „დენ“-ში საზიზღარ წერილებს სოც. ფედ. წინაალმდეგ საერთოდ და სოც. ფედ. დეპუტატ ვ. გელოვანის კერძოდ. სოც. ფედერ. თურმე დამნაშავენი ყოფილან გეგეჭკორის „რაზიასნენიენი“; სოც. ფედ. თურმე დაუბეზღებიათ სოც. დემ. კანდიდატები და სხვა. რა ძველი ხერხია, რა ცნობილი დემაგოგიური ხრიკია, სოც, დე-ის და გაწბილებულ, გულნატკენ დეპუტატისა!

***

გეგეჭკორის გამოსვლამ და ისიც ისეთი ფორმით, როგორითაც მან ქეთილ ინება, ბ. გელოვანიდან პასუხი გამოიწვია, მაგრამ რა განსხვავებაა ამ ორ პიროვნებას შორის: რამდენიც უხამსია, უზნელი პირველის მოქმედება, იმდენად ჯენტლმენურია მეორის პასუხი. ალბად გეგეჭკორს უკვირს ასეთი საქციელი მისი მოპირდაპირის, (ეს აშკარად სჩანდა მისი წერილიდან), მას უკვირს: თუ კი რამე საბუთი აქვს ბ. გელოვანს, რად არ აქვეყნებსო.

მაგრამ ბ. გელოვანი, ისეთივე ცუდ მდგომარეობაში ჩავარდებოდა მაშინ როგორშიც გეგეჭკორი და ამიტომაც ბ. გელოვანს, მთელი საბუთი, მასალა, რაც უხვად მოიძებნება ჩვენში არჩევნების შესახებ, არ დაუბეჭდავს გაზეთში, არამედ გადასცა სამედიატორო სასამართლოს, რომელიც გაარჩევს არჩევნების გამო ატეხილ დავიდარაბას. სამედიატორო კომისიაში გელოვანის მხრით დასახელებულია შრომის ჯგუფის ლიდერი კერენსკი, და ერთიც გარეშე პირი. სოც. დემ. უნდა დაასახელონ ორნი და ისინი კი აირჩევენ მეხუთეს თავმჯდომარედ. შეიძლება არჩეულ იქნას ცნობილი მწერალი ვ. გ. კოვოლენკო. აი ამ კომისიას ხელთ აქვს ყველა მასალა და ისინი გაარჩევენ, რამდენად მართალია სოც. დემ-ის ბრალდება.

ჩვენ შეკეკითხეთ ბ. გელოვანს, რატომ ეს ფაქტები არ აღნიშნა მან გეგეჭკორისადმი საპასუხო წერილში. მან სრულიად სამართლიანად აღნიშნა, მე არ მინდა მემარჯვენეთ მივცე ხელში მასალა, მემარცხენეთა მოქმედების გასაკიცხად, დემოკრატიის საცინლად ასაგდებად და საოხუნჯო მასალადო. ეს კი არ ესმის ბ. გეგეჭკორსო. გელოვანის სიტყვიერ ეს კომისია გაარჩევს ამ საქმეს შაბათისათვის, ე. ი. 1 დეკემბრისათვის. რა შედეგი მოჰყვება ამას, მერე გაცნობებთ.

***

ყველა ფრაქცია შეუდგა უკვე თავის შინაურულ ცხოვრების მოწესრიგებას. შრომის ჯგუფმაც აირჩია პრეზიდიუმი, რომელშიც არჩეულ იქმნა ვ. გელოვანიც, თავმჯდომარის მეორე ამხანაგად. თავმჯდომარედ კი აირჩიეს დრუზბინსკი. გელოვანს დიდის სიმპატიით ეპყრობიან ფრაქციაში და იმედია, დიდ დახმარებას გაუწევენ ჩვენს ერთად-ერთ დეპუტატს სახელმწიფო სათათბიროში.

შ.—დიანი.

მანუხინის მოხსენება

ლენში მომხდარ ამბების გამო.

როგორც ვიცით ამას წინედ ლენის ოქროს მაღაროებში დიდი უბედურება დატრიალდა. ბევრი უმანკო სისხლი დაიქცა მის მიდამოებზე. ამ საშინელ უბედურების გამოსაძიებლად და გამოსარკვევად უმაღლესად დაინიშნა ს. ს. მანუხინი, რომელმაც ადგილობრივ გამოიკვლია ყოველივე.

გიორგობისთვის 27 მანუხინი ცარსკოე სელოში დაიბარეს, მოხსენების ჩასაბარებლად.

მანუხინის მოხსენება დაბეჭდილ ფურცლის 300 ვვერდს შეიცავს. თვითო ხოცვა-ჟლეტის ამბავს (4 აპრილს) მეტად მცირე ადგილი უჭირავს. აქვეა ჩართული გამოძიება ტრეშჩენკოს საქციელისა. უმთავრესი ყურადღება კი მიქცეული აქვს ლენის მუშათა ყოფა-მდგომარეობას. აქ აღნუსხულია ზედ მიწევნითი ცნობები მუშათა მდგომარეობის ყოვლად აუტანელ პირობებისა. ამასთანავე დადასტურებულია სინამდვილე იმ ცნობებისა, რაც კი გაზეთებში იყო მოთავსებული ლენის მაღაროობის თაობაზე.

მოხსენებაში დაწვრილებითაა ნაამბობი ლენის მაღაროების ისტორია, მისი დაარსებიდან. აგრეთვე მოთხრობილი ისტორია ეგრედ წოდებულ „ლენა გოლდფილდი“-ს ამხანაგობისა, რომელმაც ლენის მაღაროების აქციების 70 ნაწილი ხელში ჩაიგდო.

ამასთანავე გარკვეულია, რომ ამ ამხანაგობის დაარსებით ლენის მაღაროები ახალ მფლობელთა ხელში კი არ გადასულა, არამედ იმავ ბარონ გიცბურგისა და მაიერის სავაჭრო სახლისა ყოფილა. ხოლო ეს ფირმის „გაინგლისელება“ იმ გარემოებას გამოუწვევია, რომ რუსეთში აკრძალულია დაბალ ფასიან აქციების გამოშვება, მაშინ როდესაც მათი აქციების ზომიერი ღირებულება ათის მანეთით განისაზღვრება 4 აპრილის ყველა საბუთები ოფიციალურ განკარგულებათა. ამ ცნობებიდან მტკიცდება, რომ ადგილობრივი მთავრობა უმაღლეს მთავრობას ეკითხებოდა ხოლმე ამა თუ იმ მოქმედების თაობაზე.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ როდესაც ლენის მუშათა კომიტეტის დატუსაღება გადასწყვიტეს, ირკუტსკის გენერალ-გუბერნატორი ქნიაზევი პეტერბურგში იმყოფებოდა დაბინადრობდა სასტუმრო „გრანდ-ოტელში“. გამოძიებიდან ნათლად მტკიცდება, რომ ადგილობრივს ადმინისტრაციას კარგად ჰქონია წარმოდგენილი საშინელი შედეგი მუშათა კომიტეტის დატუსაღებისა. ამასთანავე მანუხინის რევიზიამ, ვერავითარი გამასამართლებელი საბუთი ან საბაბი ვერ მოუნახა ადგილობრივ—ადმინისტრაციის სასტიკ ზომების მიღებას.

ცარსკოე სელოში მანუხინი წარუდგა მეფეს ჭმასთან 1 ს. 45 წ. საუბრობდა ლენის ამბების თაობაზე. პირად მოხსენების დროს მანუხინს განსაკუთრებითი ყურადღება მიუქცევია ლენის მუშათა ეკონომიურ მდგომარეობასა და მათს ზნე-ჩვეულებაზე.

მოსალოდნელია, რომ მოხსენების უმთავრეს მოსაზრებას სახელმწიფო საბჭო განიხილავს.

ბალკანეთის ომი

დეკემბერი

5 დეკემბერი.

საზავო მოლაპარაკება

ლონდონი. სერბიის დელეგატი ნოვაკოვიჩი ებაასა საგენტოს კორესპონდენტს. ხვალიდან შეუდგებით მუშაობასო, სთქვა დელეგატმა. პირველ ყოვლისა შემოწმებული იქნება დელეგატთა რწმუნებულები. თუ ნამდვილი გამოდგა, რომ ოსმალეთის დელეგატებს არა აქვთ დავალებული საბერძნეთთან მოლაპარაკება გაბართონ, საქმე რამდენიმე დღით შეფერხდება, სანამ რწმუნებულებას არ მიიღებენო. ბალკანეთის სახელმწიფონი უსაბერძნეთოდ მოლაპარაკებას არ დაიწყებსო.

ლონდონი. „რეიტერის“ ცნობით ელჩთა თათბირი ბალკანეთის საკითხის თაობაზე 4 დეკემბერს დაიწყებოდა.

ლონდონი. საზავო კონფერენციის მეორე სხდომა მოხდა დილის 11 საათზე. თავმჯდომარეობდა დანევი. პირველად შეამოწმეს დელეგატთა რწმუნებულება. ოსმალეთის დელეგატებმა განაცხადეს, რომ მათ საბერძნეთთან მოლაპარაკების გამართვის რწმუნებულება არა აქვთ. კონფერენციამ დაადგინა ხუთშაბათამდე გადასდოს სხდომა, სანამ ოსმალეთიდან არ მოვა შესაფერი რწმუნებულება.

ლონდონი. სერბიის დელეგატმა ნოვაკოვიჩმა პეტერბურგის საგენტოს კორესპონდენტს უთხრა: ოსმალები სხდომის დროს ძლიერ თავაზიანად იქცეოდნენო. ისინი დასთანხმდნენ საბერძნეთის მონაწილეობას.

ათინა. ვოდენის შეიმა საბერძნეთის მემკვიდრეს საჭაროდ მიართვა ოქროს სავარძელი. მემკვიდრემ საჩუქარი მიიღო.

სალონიკი. მოვიდა სერბიის კომისია უსკიუბის და ევროპის შორის მატარებელთა მიმოსვლის აღსადგენად.

პოდგორიცა.. ოსმალნი ტარაშობიდან და ბრალკიდან ჩერნოგორიის პოზიციებს უმმაორებს უშენენ. ჩერნოგორელები რაც შეიძლება, თავს იკავებენ.

სტამბოლი. დარდანელთან შეიქნა ბრძოლა ბერძნებსა და ოსმალებს შორის. ბრძოლა ოსმალეთის სასარგებლოდ სრულდება. ხმებია საბერძნეთის ჯავშნიანი გემი „გეორგიოს ავეროვი“ საგრძნობლად არის დაზიანებულიო.

გაზეთებიდან.

ქ. იანინისკენ.

ღენ. საპუნზაკისი იტყობინება, რომ ბერძნებმა იერიშით აიღეს რიზანის პოზიცია და სამი სწრაფმსროლელი ზარბაზანი წაართვეს ოსმალებს. მეორე დღეს მარჯვენა ფრთამ დაიპყრა ქ. აკტორაკდონი. საბერძნეთის არტილერიამ ჩააჩუმა მტრის ბატარეები. ბერძნებს დაუჭრეს ორასი, ოსმალების დანაკლისი დიდია. ბრძოლა დაღამებისას შესწყდა.

საზღვაო ბრძოლა.

სტამბოლიდან იუწყებიან: უმავთულო ტელეგრაფმა ცნობა მოიტანა საბერძნეთისა და ოსმალეთის ფლოტის ბრძოლისა. ბრძოლა ქსეროსის ყურეში სწარმოებს, დარდანელის სრუტის ახლოს.

საზავო მოლაპარაკება.

ჰეტერბურგიდან იტყობინებიან: მეომარი სახელმწიფოების წარმომადგენლები სამ საკითხს განიხილავენ: 1) მიწა-წყალის შემატება, 2) კონტრიბუცია და 3) მოკავშირეებისაგან თავის თავზე გადატანა ოსმალეთის იმ ვალისა, რომელიც წილად ხვდება მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებს. ოსმალეთის წარმომადგენლებს სურთ ჯერ მთლიანად განიხილონ მოკავშირეთა პირობები, რათა შემდეგ თვისი კონტრ-პროექტი წარუდგინონ, მაგრამ მოკავშირენი უარს ამბობენ ასეთ წინადადებაზე. იგინი ერთხმად და კოლექტიურად წარადგენენ თავის პირობებს, რათა კონფერენციამ მუხლ და მუხლ განიხილოს იგინი. წარმომადგენლებმა ერთხმად სთხოვეს ედუარდ გრეის საპატიო თავმჯდომარეობა, იგი დასთანხმდა.

ოსმალეთის პროტესტი.

ბერლინიდან ცნობაა: ოსმალეთმა პროტესტი განაცხადა კონფერენციაში საბერძნეთის წარმომადგენელთა მონაწილეობის წინააღმდეგ, რადგან მათ ხელი არ მოუწერიათ დროებითი ზავისათვის.

თათბირი სოფიაში

პეტერბურგიდან იტყობინებიან: ამ ჟამად ქ. სოფიაში მოკავშირეთა თათბირია გამართული დაპყრობილი ქვეყნების დაყოფვისა და საზღვრების დაწესების თაობაზე. ეს თათბირი ლონდონის მოლაპარაკების გათავებამდე გასტანს და თანაბრად იმუშავებს.

ოსმალეთის მზადება.

სტამბოლიდან იუწყებიან: მიუხედავად დროებითი ზავის პირობისა, რომლითაც აკრძალულია ჯარის მოძრაობა, ოსმალეთი განაგრძობს თვისი ჯარის შევსებას. ისმითხა და გემლიკიდან მოსული ახალი ჯარი გალიპოლის ნახევარ კუნძულისკენ იგზავნება, ნაწილი კი ქ. სან-სტეფანოსკენ. გუშინ კიდევ მოვიდა სირიიდან 25.000 კაცი, რომელიც გალიპოლისა და სანსტეფანოსკენ წავიდა.

ბალკანეთი და ევროპა

დეკემბერი.

ვენა. პალატის საბიუჯეტო კომისია შეუდგა ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას. სლოვენეც მოსტინჩარმა სიტყვა დაიწყო საღამოს 6 საათზე და ათი საათისთვის არ გაუთავებია.

სოფია. სახალხო კრების თავმჯდომარემ წაიკითხა სახელმწიფო სათათბიროს ნაციონალისტთა ფრაქციის მისასალმებელი დეპეშა. კრება ტაშის ცემით მიეგება. გადასწყვიტეს საპასუხოდ დეპეშა გაუგზავნოს სათათბიროს.

ვენა. გაზეთები სიამოვნებით აღნიშნავენ პროხასკას საქმის გარშემო ატეხილ ხმების უსაფუძვლობას

ვენა. პალატის საბიუჯეტო კომისიაში დეპუტატმა გოსტინჩარმა გაათავა სიტყვა დილის რვის ნახევარზე. ილაპარაკა შეუსვენებლივ სრული 13½ საათი. გოსტინჩარის წინადადებაა შესწყვიტონ სხდომა პალატამ უკუაგდო. სიტყვა ითხოვა სლოვენეც კოროშიჩმა.

ლონდონი. „ტაიმსი“ აფრთხილებს ოსმალეთს და ბალკანეთის სახელმწიფოებს მოლაპარაკება უნაყოფოდ არ დამთავრდეს, თორემ ორივე მხარისთვის ფრიად საზარალო იქნება. გაზეთები გამოსთქვამენ წუხილს ავსტრია-ჰუნგრეთის საქციელის გამო.

ლონდონი. რეიტერის ცნობით ელჩთა კრება მოხდა გრეისთან. გამოსარკვევი იყო მომავალ თათბირის ძირითადი დებულებანი.

დილით გარეშე საქმეთა სამინისტროში შეიკრიბნენ ელჩნი: ბეკენდორფი, კამბონა, იმპერიალი, ლიხოვსკი და მენდორფი. კრება გაიხსნა გრეის თავმჯდომარეობით. განსახილველი საკითხები: ალბანეთის მომავალი და მისი ორგანიზაცია, სერბიის განსავალი ადრიატის ზღვაზე, ეგეის ღვის კუნძულთა ბედი.

გაზეთებიდან

ავსტრიისა და სერბიის დავა.

პრაგიდან იუწყებიან: სერბიისკენ გალაშქრებას დღითი-დღე ელიან. ვენიდან მოსული ცნობები, გრაფ ბერჭტოლდის მშვიდობიანი განწყობილება სრულიად გაჭარწყულდა. გადამწყვეტი ძალა დღეს სამხედრო პარტიის ხელშია, რომელსაც სურს სერბიის განადგურება. რუსეთის ჩარევის მოლოდინს ანგარიშს არ უწევენ.

400 მილიონის ხარჯი.

ვენიდან იტყობინებიან: დღემდე მობილიზაციამ ჩაჰყლაპა 400 მილიონი კრონი. შოვინისტური გაზეთები ერთხმად ჰყვირიან: „ავსტრიას დიდი ზარალი მოსდის. საჭიროა ისეთი მდგომარეობის შექმნა, სადაც ადგილი აღარ ექნება ასეთ კრიზისებს“.

ავსტრიის საომარი სამზადისი.

ვენიდან ცნობაა: მოიწვიეს მეათე რიგის ე. ი. უკანასკნელი სათადარიგონი. ვენის ყაზარმები ცალიერია, მთელი გარნიზონი საზღვრებზე გაგზავნეს, ვენაში დარჩა მხოლოდ ორი პოლკი. ამის აიხსნება ის გარემოება, რომ გარეშე პირებს აუკრძალეს ყაზარმების დათვალიერება. ავსტრიის „წითელი ჯვრის“ სამართველომ მისწერა ბალკანეთში მყოფ თავის რაზმებს ერთი კვირის განმავლობაში უკანვე დაბრუნდნენ.

ვაგონების დაჭერა.

ავსტრიის მთავრობამ სერბიის საზღვარზე დაიჭირა ორი ვაგონი ჭრილობის შესახვევი მასალა, რომელიც ჩეხიიდან იყო გაგზავნილი.

უცნაური ხმა.

როგორც გაზ. „დეიჩ ფოლკსბლატი“ იუწყება, ვენაში ხმა გავრცელებულა, რომ ვენის ზოგიერთ ყაზარმაში გერმანიის ჯარი სდგას და სამხრეთის საზღვრებისკენ მიმავალი მატარებლებიც სავსეა გერმანიის ჯარითო. გაზეთი უარჰყოფს ამ ხმას და ირწმუნება, რომ ავსტრიას თავისი საკუთარი ჯარიც ეყოფაო.

ავსტრიის ფლოტი.

პარიზიდან ცნობაა: ავსტრიის ესკადრა პოლას ნავთსადგურიდან გავიდა და დუნაიკენ მიემართა. ამჟამად კატარის სანაპიროებთანაა.

ქ. ვალონას შარავანდი.

ტრიესტიდან (ავსტრიის ნავთსადგურია) იუწყებიან: გაზ. „პიკოლომ“ ცნობა მიიღო, რომ ავსტრიისა და იტალიის შეერთებული ფლოტი ზარბაზანს უშენს ბერძნების სიმაგრეებს ქ. ვალონაშიო.

ინგლისის პოზიცია.

პეტერბურგიდან იუწყებიან: ავსტრიის დიპლომატისაგან გავრცელებული ხმა თითქოს ინგლისმა უარი განუცხადა რუსეთსა და საფრანგეთს, რომ არაოდეს ომს არ დავიწყებ თქვენ დასახმარებლადო, ყოველივე საფუძველს მოკლებულია. ინგლისის დიპლომატიამ ასეთი ფორმულა წარუდგინა სამთა კავშირს (გერმანია, ავსტრია, იტალია:) „თუ ვინმემ მოინდომა თაკისი გადაწყვეტილების თავზე მოხვევა ან დამცირება იმ ქვეყნისა, რომელიც ერთ-ერთ პოლიტიკურ კავშირს ეკუთვნის, მაშინ იმ სახელმწიფოს დაიცვენ მისი მოკავშირენი და მეგობრები, რადგან უამისოდ ყოველად შეუძლებელია ევროპის თანასწორობის დაცვა“. ედუარდ გრეიმ მეგობრულად ურჩია გერმანიის ელჩს ლონდონში: იქონიეთ რამე გავლენა ბერლინის გაზეთებზე, რათა მათ შესწყვიტონ უსაფუძვლო მტკიცება, თითქო ინგლისი არ დაეხმარება საფრანგეთსა და რუსეთსაც.

სრუტეების საკითხი.

თურხან-ფაშა ოსმალეთის მთავრობას ატყობინებს პეტერბურგიდან, რომ რუსეთი სრუტეების გახსნის საკითხს აღძრავს ლონდონის კონფერენციაზეო.

სომხეთის ავტონომია.

გაზ, „ბაკინეცს“ სტამბოლიდან ატყობინებენ: დიპლომატიურ წრეების ცნობით, საფრანგეთი და ინგლისი მიემხრო რუსეთის მიერ შედგენილ პროექტს სომხეთში ავტონომიის შემოღებაზე რუსეთის პროტექტორატობით.

დეპეშები

(რედაქციათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ

5 დეკემბერი

პარიზი. სალამოთი პოლიციამ გაფიცვათა მუდმივ კომიტეტების ჩხრეკა მოახდინა. პოლიციამ ხელთ იგდო ფართო კორესპონდენცია.

ტოკიო. მეზღვაურთა წრეში შიშობენ, კაცურას დანიშვნას საზღვაო ასიგნაციების შემცირება არ მოჰყვესო. ამის გამო ადმირალებს ჩუმი მოლაპარაკება აქვთ.

პარიზი. გეოგრაფთა საზოგადოებაში ამუდსენმა წაიკითხა მოხსენება სამხრეთ პოლიუსისკენ გამგზავრებულ ექსპედიციის გამო საზოგადოების თავმჯდომარემ ამუდსენს ოქროს მედალი უბოძა. განათლების მინისტრი მთავრობის სახელით მიესალმა.

ტოკიო. გამოიცა იმპერატორის ბრძანება, რომლის ძალითაც ევალება კაცურას კაბინეთის შედგენა.

ბუხარესტი. გალაცაში იწვის საქონლის საწყობები ზარალი მილიონი ფრანკია.

ბუდაპეშტი. საათ ნახევრის თათბირის შემდეგ სათათბიროს კოვაჩი. გაამართლა.

რუსეთი

პეტერბურგი. არტილერიის ბრიგადის მეოთხე როტის კაზარმას ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლის წაკიდება დაბრალდა კაპტენარმუს, ჩერვანოვსკის შტაბს-კაპიტანი კოლოგრივოვი მივიდა ჩუოვანოვსკის დასაპატიმრებლად, მაგრამ იქვე მოკლულ იქმა ჩერვანოვსკისგან. ჩერვანოვსკიმ დასჭრა გენერალი და თავის თავად ცეცხლი ჩააკრეს.

პეტერბურგი. სახელმწიფო სათათბიროს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს ალექსეენკო, ამჟამად ოქტომბრისტი ოპოზიციონი და ნაციონალისტი დერიუგინი, მდივნად—ოქტომბრისტი გოდნევი, კადეტი ნეკრასოვი, ცენტრის პარტიის წევრი პაშევიჩი.

ხარკოვი. მადნის მრეწველთა კრების საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს სახელმწიფო საბჭოს წევრი ფონდიტმარი, სამრეწველო საქმეთა რწმუნებულად—სახელმწიფო საბჭოს წევრი ავდაკოვი.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. დღეს, 6 დეკემბერს, ქართულს თეატრში **ნინო დავითაშვილის** ბენეფისია. წარმოდგენილ იქნება **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით **ნ. შიუკა-**

შვილის ახალი პიესა „ციცინათელა“ დრამა 4 მოქმედებად. ამ პიესისათვის დეკორაციები საგანგებოდ არის დახატული.

ხარფუხის თეატრი. კვირას, 2 დეკემბერს სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის მიერ მუსულმანთა აუდიტორიაში წარმოადგინეს „მსხვერპლი“ ი. გედევანიშვილისა. ჩვენდა სასიამოვნოდ უნდა ვსთქვათ, რომ წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა. ამ წარმოდგენით ერთხელ კიდევ დავინახეთ, რომ შრომამ და უნარმა ცუდად არ ჩაუარა როგორც რეჟისორს, ისე სცენის მოყვარეებს. საქოს როლში ვნახეთ ბ-ნი მირველოვი, რომელმაც თითქმის უნაკლოდ შეასრულა იგი. ბ. ჯანველოვი (გიგო) ხმით, ტანით და სახის გამომეტყველებით ნამდვილი გიგო იყო. ბ-ნი შათირიშვილი უფრო კარგი (ვანო) იქნებოდა, რომ ცოტა გლეხური კილო მიეცა. კარგები იყვნენ ყანჩელი (გაბო), ყარამანაშვილი (ბოქაული), ქ ნი ზარდალიშვილისა (კნიაგნა), ქსენაფონტოვი (მამასახლისი). ქ-ნი კავთელი (ნატო), ქ-ნი მეხუზლა (ვანოს დედა) და მგალობლიშვილი (მიხა) კი არა თამაშობდნენ, არამედ სცოცხლობდნენ სცენაზე. საზოგადოებამ მხურვალე ტაშის ცემით დააჯილდოვა მოთამაშენი და ნასიამოვნები დაიშალა.

სამწუხაროდ ხალხი იმდენი არ დაესწრო, რამდენიც მოსალოდნელი იყო. **შეთე.**

კავკავი. კვირას, 25 ნოემბერს, აქაურმა ქართულ სცენის მოყვარეთა **წრემ წარმოადგინა ნ. შიუკაშვილის 4 მოქმედებიანი დრამა „მეგობრობა“.** წარმოდგენამ ძლიერ ცუდად ჩაიარა; ხალხი ცოტა დაესწროო. წმინდა შემოსავალი 11 მანეთი დარჩა.

წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ, რომელთაც თავიანთი წვლილი არ დაიშურეს და დახმარება აღმოუჩინეს დ. ჯიბაიშის უფასო წიგნთსაცავ სამკითხველოს. შემომწირველთა სია: 1) ქ. ბ. მარიამ დადიანის ასულმა ლორთქიფანიძისამ წიგნები, ღირებული 10 მან. 2) კ. ფ. კაჭახიძემ წიგნები—80 მან., 3) ბ. ლორთქიფანიძემ წიგნები—4 მან. ამასთანავე სამკითხველოს გამგეობა მადლობას უცხადებს ბ. ნ. ე. ლეჟავას, რომელმაც აღუთქვა ზემოხსენებულ სამკითხველოს ი. ჰავჰავაძის თხზულებანი ძვირფასი ყდით—ღირებული 8 მან.

სამკითხველოს გამგეობის მოწდობილობით **პავლე ალ. ლორთქიფანიძე.**

რედაქტორ-გამომცემელი
ხ. კურდღელაშვილი.

გამოსაღეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

(ზამთრობით).

15 ოქტომბრიდან.

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო № 8, საღ. ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, დამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106. საღ. 7 ს. 20 წ.

ბათომისაკენ: სახ. № № 107, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს. 4 წ. **სახ.** № 11, დამ. 10 ს. 2 წ.

ბაქოსკენ: ნარევ. № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

ერევანისკენ: სახ.-სახ. № 8;7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

ჯულფისკენ: საფ. № 4;3, დამ. 1 ს. 11 წ.

ყარსისკენ: სახ.-სახ. № 6;5, საღ. 8 ს. 10 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 9/10 ნ, ნაშ. 3 ს. 17 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან. ნარევ. № 107, დამ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № 1, საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-სახ.** № 7, დილ 11 ს. 55 წ.

ბათომიდან: სახ. № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ.** № 4, დამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

ერევნიდან: ს ხ.-სახ. № 83;7, საღ. 5 ს. 28 წ.

ყარსიდან: სახ.-სახ. № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

ჯულფიდან: სახ. № 43, დილ. 8 ს.

ბორჯომიდან: სახალხ. № 9/10 ნ, დილ. 11 ს. 22 წ.

მიხაილოვკიდან ხურამში: სახ.-სახბარგ. № 61, დამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-სახ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-სახ.** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-სახ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-სახ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-სახ.** № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-სახბარ. № 60, დამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-სახ.** № 62, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-სახ.** № 64, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-სახ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-სახ.** № 68, საღ. 6 ს. 38 წ. **სახ.-სახ.** № 70, საღ. 8 ს. 26 წ.

ჭუთა-ისიდან რიონში: სახ. № 77, დილ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **სახ.** 81, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5 ს. 48 წ. **სახ.** № 85, დამ. 11 ს. 58 წ.

რიონიდან ჭუთაისს: სახ. № 76, დილ. 6 ს. 25 წ. **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალხ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** 82, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ.** № 84, დამ. 1 ს. 58 წ.

ჭუთაისიდან შორაპანს: სახალხო № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

შორაპნიდან ჭუთაისს: სახ. № 27/28, დილ. 8 ს. 30 წ.

ფოთიდან სამტრედ. და **ჭუთაისს: სახ.** № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 ი, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 1 წ. **სახ.** № 8 ი, საღამ. 9 ს. 10 წ.

სამტრედიიდან ფოთში; სახ. № 3 ი, შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 ი. საღ 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 ი, საღ. 7 ს. 59 წ. **სახ.** № 25 ი, ნაშ. 6 ს. 18 წ.

ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ. № 18, ამ. 11 ს. 13 ს. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ქობულეთ.-დან ბათომს: სახ. № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, დამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

ნატანებიდან ბათომს: სახ № 17, ნაშუად. 5 ს. 20 წ.

ბათუმიდან ქობულეთში. სახ. № 8, დამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 42 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომიდან ნატანებს: სახ. № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ. № 45, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ. № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, დამ. 12 ს. 41 წ.

პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12. ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის ჯოზღოს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. 1 და II კლასი და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მეხუთე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლას. მატარებლის ნომრები 3 და 4.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედეშლინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თბილისოვი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

გემების მიმოსვლა

(ზამთრობით)

15 ოქტომბრიდან,

შავ-ზღვაზე.

(დრო ტფილისის საათითაა აღნიშნული).

„**ვაჭრობა-ნავოსნობის**“ საზოგადოების გემები.

ბათომიდან გადის:

1) პირდაპირი, **საფოსტო** გემი **შახ.**, და **კვირ.**, დამ. 12 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ოთხშ.**—შუა ღამის 1 ს. 58 წ.

№ 2. **პარასკევს.** შუაღამის 1 ს. 58 წ.

№ 1. **სახ., შაბათ.**, ნაშუადღ. 2 ს. 58 წ.

№ 2. **ორშახ.**, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომში მოდის:

ოდესიდან პირდაპირი, **საფ., პარ.** დილ. 6 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ორშ.**, საღ. 9 ს. 58 წ.

№ 2. **ოთხშ.**, საღ. 8 ს. 58 წ.

№ 1. **სამგზ., პარ.** საღ. 8 ს. 58 წ.

№ 2. **კვირ.**, საღ. 6 ს. 40 წ.

კასპიის ზღვაზე.

„**კავკაზი** და **მერკური**“ საზოგადოების გემებისა.

ბაქოდან გადის:

კრასნოვოდსკს, ყოვ. დღე საღ. 4 ს. 40 წ.

ენზელს პირდაპირი, **პარ.**, და **სამშაბ.**, ნაშუადღ. 4 ს 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

ასტარას, ხუთშ. ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

ბაქოში მოდის;

კრასნოვოდსკიდან ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.

ენზელიდა ორშ. და პარ., დილ. 60 ს. 5 წ.

ასტარიდან კვირ., ირგვლ. მოს. დილ. 4 ს. 44 წ.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 ჰ. **ფომინა-ოხიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ჭავჭავნაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

0, 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ეკატერინოგრადის ძეგლთან, მონუმენტი შესახვ. ნ. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შევხვდებით—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საშველ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თაბორის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაქნის მოედანზე.

განცხადებანი

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა.

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის ქიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ხასრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში ცალ-ცალ ზოგადოც. ორ-სამწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა დ. ახლებს ყოველ დღე, დილის 1—2 ს. ძიძებს მოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი მ. გ. მიქირტუმოვი. 1037.

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ეკატერინოგრადის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დილით:

„606“—11—12 ს. შეშახაკუნება კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგასხრამოვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შიგაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასხოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. აყეტიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. მ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიმანი** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. აყეტიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნ გასხარდიანი.** 1028

ქართულ ენაზე ჭრა-კერვის წიგნი

თვით-მასწავლებელი 128 ნახატით, ახალი მეთოდი. ექვსი ნაწილი: ქართული, იმერული, ევროპიული, თეთრეული შანდილოსანთ და ბავშვთათვის. ჟურნალების მოხმარება შედგენილი და გამოც. **სოფიო ი. სიმონოვის მიერ.** ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მან. 50 კ. ვინც ათზე მეტს იყიდის ფოსტის გასაგზავნი არ გადახდება. წიგნის გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც.

მისამართი; Тедавъ, школа кройки и шитья Соф. Іос. Симоновой. Бульварный пер., 2, соб. д. 3121

ფეხსაცმელები

თ ო მ ა დ. ჯ ა ნ უ ა რ ა შ ვ ი ლ ი ს

მაღაზია-სახელოსნოში.

მუხრანის ქ. № 2. კომპანიონი: საკუთარი და პეტერბ. ხელნაკეთი ნაწარმოები. 683.

ელექტრო-თეატრი ლ ი რ ა

ქრისტეშობისთვის 6, 7 და 8 უჩვენებენ მხატვრულ სერიათა შედევრს „ნარდისკი“.

მოგზაური ცირკი

სამ განყოფილებად.

1300 ადლის სიგრ. **ყირი-მაიას** და ბევრ სხვა საგულისხმო სურათებს. 848

საგურთალოზე

(ჩანიშვილის სახ.)

— იხსნება —

ავთიაქის სანყოგი,

სადაც მოიპოვება ყოველგვარი ნივთები.

იქვე იმყოფება **ექიმი ლ ფერშალი.** ავადმყოფები მიიღება ყოველ-დღე 11½ ს. 1 ს.-დე.

სტრაპანის გამოცემა

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად **„კედლის კალენდარი 1913 წ.“, შედგენილი გრიგოლ ჩარკვიანის მიერ.** კალენდარი დასურათებულია მრავალი სურათებით, შეკრულია თუნუქით, კარდონი დაბეჭდილია 4 ფერი საღებავით. იყიდება ყველგან. ფასი 40 კაპ.—დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ აგრეთვე **„სახალხო კალენდარი“ 1913 წ., შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.** კალენდარი დასურათებულია აჟარებელი სურათებით. ფასი 20 კ.—გამყიდველებს %%-ით დაეთმობათ. ა დ რ ე ს ი: ტფილისი. სტამბა „სპრაპანი“. 849

1553

მუხრანის კერძო

სამკურნალო

საწოლი კრაოტებით.

19 თებერვლის ქუჩა, იგივე რიყე, № 48, ახალ მეხრობითირდაპირ, ტელეფონი № 370. დასაწოლად ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დროს, ხოლო გასასინჯად ფეხზე მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან დანიშნულ დროზე შემდეგ

ექიმების მიერ: დილით:

ზოგადი სნეულებანი, ბავშვთა და მოზრდილ. — **სპეციოლოგი ზ. მ.** . . . 8½—9½ ს.
გაზაზოვი ა. ა. . . . 10—11 ს.
იაშვილი ა. ო. . . . 11—12 ს.
აბაკელია ი. კ. . . . 12—1 ს.
ღლონტიძე ზ. მ. . . . 12½—1½ ს.

სადოსტაქრო სნეულებანი: — **გრიგოლიანი ა. ი.** . . . 11—12 ს.
მელკონიანი ზ. ა. . . . 12—1 ს.
ჯაში ი. ი. . . . 9½—10½ ს.

საშარდე-სასქესო ორგანოების და ბავშვის ბადის ქრონ. სნეულ. — **გრიგოლიანი ა. ი.** . . . 11—12 ს.

ნერვების და ბავშვის ნერვ. სნეულ. — **ექიმი-ქალი საყვარელიძე დ. ზ.** 11—12 ს.
ღლონტიძე . . . 12½—1½ ს.

ნერვების ელექტრ. და მასაჟის სნეულ. — **შტრეიხერი მ. ა.** . . . 12 12½ ს.

ფილტვების სნეულ. — **შაკელნიკოვი ზ. ი.** . . . 1½—2½ ს.

ფასი გასინჯვისა 5 მან. კ. საწოლი კრაოტი 3 მან. დღეში. ცალკე ოთახი 5 მან. ოპერაციები მორიგებით. **შეშხაპუნება წამლებისა „606“ და „914“, ყვავილის აცრა,** ელექტრონით წამლობა, ძიძის გასინჯვა, დაზელა (მასაჟი), მოწმობის შედგენა და სხვა, შეღავათიანი საფასურით. 1581

— გამოსულია და იყიდება —

ნ. შიუკაშვილის

პიესა **„მეგობრობა“,** დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

მოითხოვეთ სწორი და მკვიდრი საათი!

სხვა იაფ ფასიან საათებს ნუ გამოუდგებით!

კარგსაათს ყოველთვის შერჩება თავისი ღირებულება.

— პარიზის უკანასკნელი ახალი ამბავი! —

საათი „ხრონომეტრი“-ს სისტემისა 5 მ. 25 კ.

200 მანეთიან ოქროს საათის მაგიერი, გირჩევთ **„ხრონომეტრს“,** რომელიც მოყვანილობითა და მოხდენილობით ოქროსას არ ჩამოუვარდება. „ხრონომეტრის“ ლითონის კარგი ღირსებისაა და რის გამძლეობაზე 10 წლის თავდებობას ვკისრულობთ, რადგანაც ელექტრონის საშუალებით მისი საბურავი დაფარულია 40% კარატ. ოქროს სქელ სევდით. ეს საათი ნამდვილი ევროპიულია, ხალო ოქროსი, კაცებისა თუ ქალებისა ხუფიანი სამ სქელ სახურავიანი, იმართება თავის ბულტით 40 საათის ერთხელ, მუშაობს წყრიალით, 15 ქვიანი, პრტყუტი, როგორც სურათზე მოსჩანს, ძალიან გავრცელებულია და მთელ ევროპაში მოდებული. საათის ფასი 5 მ. 25 კ. 2 ცალი—10 მ., 4 ცალი—19 მ. 50 კ. ფასები ნაკლები დავადგეთ, რადგანაც გვინდა ყველას შევაძლებინოთ მი ი შეძენა. გასაგზავნი, ბაჟიანად.—40 კ., (ცირბირში—75 კ.) ყველ საათს უფასოდ ვაყოლებთ მოხდენილ ნამდვილ ახალ ოქროს ძეწკვს სურვილისამებრ ორ ფეს, ბ ელოკით და ზამშის საათის ბუდით. საათს წუთი-წუთზე შესწორებულს გვზავნით 6 წ. თავდებ., ფასდადებ, და უბეიდ.

Берлинъ 35 I. STRUMFELD
Berlin Klosterstr. № 42.

მისამართი შეიძლება ამოსჭრათ და მაგრად დაკრათ ღია წერილს ან კონვერტს. საათის დაბარება ყველა ენაზე შეიძლება. დაბურ. წერილს 0 კ. მარკა სჭირდება ღია წერილს კი 4 კ.

მეტრც. № 61483. 1579

მიიღება ხელის მოწერა 1913 წ.

ნახატებიან საყმაწვილო ჟურნალ

„ნ ა კ ა დ უ ლ ი“-ზე.

წელიწადი მეცხრე.

გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ორი გამოცემა:

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი

მოზრდილთათვის . . 12 წიგნი

ეღირება წლიურად 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., ცალკ-ცალკე თვითო გამოცემა 3 მ., საზღვარ-გარედ 7 მ.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ საჩუქარს.

ხელის მოწერა მიიღება „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტ. 8, და აგენტებთან. 1591

მიყიდეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,

ქვირითის (კეთილ.) **ზიზილალა,**

თევზის მრეწველნი გამოსული ქერჩის

სალიოტკებში,

და ყოკელგვარი

კონსერვები.

მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ჟიტკა), ორაგული, თართი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში

მოხარშული დოში, ზურგიელი,

და ყოველგვარი

— შავი ხიზილალა —

ძმ. ძევგველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.

1131

იმერული შამპანიური ღვინოები,

ფილიპე ნიკოლოზის ძის ჭელიძისა ყუათისში,

„კოლხიდა“ და „თამარა“

მოიპოვება გასასყიდად ტფილისში:

1) **ვაგზლის ქუჩაზე, ზ. დ. თოიძის სავაჭრო მაღაზიაში** და
2) **მიხეილ. პროსპ. № 5, ა. ზ. ბერელაშვილის ღვინის საწყობში.**

ფასები 1—20 კ. 1 50 მან. ფირმა დაჯილდოვებულია რუსეთის გამოფენებზე ერთი ოქროსი და ოთხი ვერცხლის მედლებით. 660